დანართი 1

დამტკიცებულია

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის

მერის 2024 წლის ------- იანვრის

N---------- ბრძანებით

„მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ღონისძიებით „დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის“ გათვალისწინებული სამედიცინო ვაუჩერის გაცემის და გამოყენების წესი

„მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ღონისძიებაში „დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის“ ჩასართავად, ბენეფიციარმა ან მისმა წარმომადგენელმა სამედიცინო ვაუჩერის მიღების მიზნით, განცხადებით უნდა მიმართოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და წარადგინოს:

ა) მოქალაქის განცხადება;

ბ) ქვეპროგრამის მოსარგებლის დამადასტურებელი საბუთი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა;

ე) ანგარიშ-ფაქტურა აფთიაქიდან მედიკამენტების მითითებით.

ქვეპროგრამის ბენეფიციარის მიერ სრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა სამედიცინო ვაუჩერი. ქვეპროგრამით დახმარება გაეწევა იმ პაციენტებს, რომლებიც ფლობენ სრულად შევსებულ ვაუჩერს.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება ვრცელდება ქალაქ ბათუმში 2024 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ მოქალაქეებზე და 2024 წელს დაბადებულებზე, ვაუჩერის გაცემის მომენტში.

დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის ღონისძიების ფარგლებში მომსახურეობა გაეწევა ქ. ბათუმში 2024 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ საქართველოს შემდეგ მოქალაქეებს: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახის წევრებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შ.შ.მ. პირებს, ომის ვეტერანებს; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში

მონაწილეებს, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრებს, ძალადობის მსხვერპლ პირებს, სავარაუდო ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს 18 წლის ჩათვლით (სოციალური მუშაკის რეკომენდაციით), მარტოხელა მშობლებს და მათ შვილებს. ასევე, მარტოხელა ასაკით პენსიონერებს, რომელთა დახმარების საჭიროება დასტურდება ადმინისტრაციული სერვის-ცენტრების მენეჯერების მიერ. ჩამოთვლილ ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ მედიკამენტოზური მკურნალობა არაუმეტეს 200 ლარისა წლის განმავლობაში ერთხელ ოჯახზე. იმ შემთხვევაში თუ ოჯახში არის ორი შშმ პირი, ორი ვეტერანი, სოციალურად დაუცველი და შშმ პირი/ ვეტერანი, შშმ პირი / ვეტერანი ერთდროულად, მათ მიეცემათ შესაბამისი რაოდენობის 200 ლარის ღირებულების ვაუჩერი.

ვაუჩერის გაცემა ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებიდან (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) და ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტოს ადმინისტრაციული ერთეულების სერვისცენტრებიდან.